

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2026 წლის 20 იანვარი

ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული დანართის I, II, III და IV თავებში (www. Matsne.gov.ge, 24.12.2025 წ, 190020020.35.125.016571), აღნიშნულიდან გამომდინარე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული დანართის I, II, III და IV თავებში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიას (გ. ჩიხლაძე).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

იზოლდა ნემსაძე

დანართი №1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი

თავი I. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	24 261,00	27 814,2	16 007,4	11 806,8	12 808,4	12 577,2	231,2
გადასახადები	10 013,4	11 451,8	11 451,8	-	12 217,2	12 217,2	-
გრანტები	13 617,2	15 933,9	4 127,1	11 806,8	231,2	-	231,2



სხვა შემოსავლები	630,4	428,5	428,5	-	360,0	360,0	-
II. ხარჯები	16 960,60	19 223,2	15 014,3	4 208,9	18 548,9	16 478,2	2 070,7
შრომის ანაზღაურება	2 520,0	3 165,6	3 137,0	28,6	3 550,2	3 550,2	-
საქონელი და მომსახურება	3 101,9	2 721,9	1 571,3	1 150,6	1 980,1	1 856,4	123,7
პროცენტი	11,4	6,2	6,2	-	5,0	5,0	-
სუბსიდიები	6 820,3	8 597,6	8 339,1	258,5	9 435,7	9 231,5	204,2
გრანტები	13,7	0,4	0,4	-	29,6	29,6	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 256,0	1 204,3	1 203,4	0,9	1 198,5	1 161,1	37,4
სხვა ხარჯები	3 237,3	3 527,2	756,9	2 770,3	2 349,8	644,4	1 705,4
III. საოპერაციო სალდო	7 300,40	8 591,0	993,1	7 597,9	- 5 740,5	- 3 901,0	- 1 839,5
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 870,9	7 457,2	881,2	6 576,0	- 2 851,0	- 3 850,1	999,1
ზრდა	12 626,8	8 262,4	1 686,4	6 576,0	1 804,7	805,6	999,1
კლება	3 755,9	805,2	805,2		4 655,7	4 655,7	
V. მთლიანი სალდო	- 1 570,5	1 133,8	111,9	1 021,9	- 2 889,5	- 50,9	- 2 838,6
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1 564,4	1 075,7	53,8	1 021,9	- 2 918,6	- 80,0	- 2 838,6
ზრდა	-	53,8	53,8	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	53,8	53,8		-	-	
კლება	1 564,4	- 1 021,9	-	- 1 021,9	2 918,6	80,0	2 838,6
ვალუტა და დეპოზიტები	1 564,4	- 1 021,9	-	- 1 021,9	2 918,6	80,0	2 838,6
VII. ვალდებულებების ცვლილება	6,1	- 58,1	- 58,1	-	- 29,1	- 29,1	-
ზრდა	64,1	-	-	-	-	-	-
საშინაო	64,1	-	-	-	-	-	-
კლება	58,0	58,1	58,1	-	29,1	29,1	-
საშინაო	58,0	58,1	58,1	-	29,1	29,1	-
სესხები	58,0	58,1	58,1		29,1	29,1	
VIII. ბალანსი	- 0,0	0,0	0,0	0,0	- 0,0	- 0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	28 081,0	28 619,5	16 812,7	11 806,8	17 464,1	17 232,9	231,2
შემოსავლები	24 261,0	27 814,2	16 007,4	11 806,8	12 808,4	12 577,2	231,2
არაფინანსური აქტივების კლება	3 755,9	805,3	805,3		4 655,7	4 655,7	-
ვალდებულებების ზრდა	64,1	-			-	-	
გადასახდელები	22 967,4	27 543,7	16 758,8	10 784,9	20 382,7	17 312,9	3 069,8
ხარჯები	15 045,8	19 223,2	15 014,3	4 208,9	18 548,9	16 478,2	2 070,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	7 863,6	8 262,4	1 686,4	6 576,0	1 804,7	805,6	999,1
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	58,1	-	29,1	29,1	-
ნაშთის ცვლილება	5 113,6	1 075,8	53,9	1 021,9	- 2 918,6	- 80,0	- 2 838,6

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 12808,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	24 261,0	27 814,2	16 007,4	11 806,8	12 808,4	12 577,2	231,2
გადასახადები	10 013,4	11 451,8	11 451,8	-	12 217,2	12 217,2	-
გრანტები	13 617,2	15 933,9	4 127,1	11 806,8	231,2	-	231,2
სხვა შემოსავლები	630,4	428,5	428,5		360,0	360,0	

მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 12217,2 ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი		2026 წლის პროექტი	
		მათ შორის		მათ შორის	



		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	10 013,4	11 451,8	11 451,8	-	12 217,2	12 217,2	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	9 219,9	10 564,4	10 564,4	-	11 367,2	11 367,2	-
ქონების გადასახადი	793,5	887,4	887,4	-	850,0	850,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	395,5	472,5	472,5	-	450,0	450,0	-
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	-	-	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	17,1	22,5	22,5	-	-	-	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	63,7	67,0	67,0	-	-	-	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	317,2	325,4	325,4	-	400,0	400,0	-

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 231,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
გრანტები	13 617,3	15 933,9	231,2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	559,1	477,1	-
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13 058,2	15 456,8	231,2
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	-	-
მიმდინარე ტრანსფერი	1 917,6	5 320,9	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	917,6	1 249,4	231,2
სპეციალური ტრანსფერი	1 000,0	3 650,0	-
სხვა მიმდინარე გრანტი	-	421,5	-
კაპიტალური ტრანსფერი	8 715,8	7 531,0	-
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	8 173,8	5 889,0	-
სხვა კაპიტალური გრანტი	-	781,3	-



მაღალმთიანი რეგიონები	-	300,0	
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	-	18,7	-
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	542,0	542,0	-
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	2 424,8	2 604,9	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2 424,8	2 604,9	
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	-	-	-

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 360,0 ათასი ლარით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	630,4	428,4	360,0
შემოსავლები საკუთრებიდან	393,8	241,2	220,0
პროცენტი	223,2	24,3	20,0
რენტა	170,6	216,9	200,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	55,7	77,1	60,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	44,6	63,9	60,0
სანებართვო მოსაკრებელი	-	4,7	10,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	-	-	-
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	49,3	53,9	50,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11,1	13,2	-
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	42,0	66,2	50,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	138,9	43,9	30,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 15217,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	16 960,60	19 223,2	15 014,3	4 208,9	18 548,9	16 478,2	2 070,7



შრომის ანაზღაურება	2 520,00	3 165,6	3 137,0	28,6	3 550,2	3 550,2	-
საქონელი და მომსახურება	3 101,90	2 721,9	1 571,3	1 150,6	1 860,1	1 856,4	123,7
პროცენტები	11,40	6,2	6,2	-	5,0	5,0	-
სუბსიდიები	6 820,30	8 597,6	8 339,1	258,5	9 435,7	9 231,5	204,2
გრანტი	13,70	0,4	0,4		29,6	29,6	
სოციალური უზრუნველყოფა	1 256,00	1 204,3	1 203,4	0,9	1 198,5	1 161,1	37,4
სხვა ხარჯები	3 237,3	3 527,2	756,9	2 770,3	2 349,8	644,4	1 705,4

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -2851,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1804,7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 4655,7 ათასი ლარით;

არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	152,6	431,3	94,5
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	152,6	431,3	94,5
ინფრასტრუქტურის განვითარება	11 401,6	6 974,9	1 540,1
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7 401,3	4 630,9	525,7
წყლის სისტემების განვითარება	1 246,6	838,8	195,4
გარე განათება	2,3	2,0	10,0
მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	-	-
კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 581,1	956,2	22,1
მუნიციპალური ტრანსპორტის ხელსეწყობა	22,5	-	-
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	111,8	46,4	50,0
კომუნალური მეურნეობის განვითარება	13,1	0,4	-
საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა	188,4	120,8	350,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	834,5	379,4	386,9
დასუფთავება და გარემოს დაცვა	-	-	-
დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	-	-
მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
განათლება	13,7	35,3	156,7



სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13,7	16,2	-
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	3,8	-
საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	-	15,3	156,7
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 032,2	820,9	13,4
სპორტის სფეროს განვითარება	807,3	210,6	9,5
კულტურის სფეროს განვითარება	224,9	610,3	3,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	21,8	-	-
ჯანმრთელობის დაცვა	5,8	-	-
სოციალური დაცვა	16,0	-	
ეკონომიკის განვითარება	4,9	-	
სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	12 626,8	8 262,4	1 804,7
დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	3 755,9	805,2	4 655,7
ძირითადი აქტივები	479,0	535,1	50,0
არაწარმოებული აქტივები	3 276,9	270,1	4 605,7
მიწა	3 276,9	270,1	4 605,7

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 237,7	5 174,3	5 443,8
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 237,7	5 174,3	5 443,8
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 237,7	5 174,3	5 349,7
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	50,0
7.1.1.3	საგარეო ურთიერთობები			
7.1.2	საგარეო ეკონომიკური დახმარება			
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	-	-	-
7.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			



7.1.4	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	-	44,1
7.1.7	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის			
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			
7.2	თავდაცვა	-	-	-
7.2.1	შეიარაღებული ძალები			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	-	-	-
7.2.3	საგარეო სამხედრო დახმარება			
7.2.4	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში			
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობათავდაცვის სფეროში			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8 629,1	5 603,9	1 297,4
7.4.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	-	-	-
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა			
7.4.3	სათბობი და ენერგეტიკა			
7.4.4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
7.4.5	ტრანსპორტი	8 542,6	5 603,9	1 297,4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7 929,9	4 836,5	549,4
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	612,7	687,5	654,0
7.4.6	კავშირგაბმულობა			
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	86,5	79,9	94,0
7.4.8	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროსი			
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში			
7.5	გარემოს დაცვა	598,5	803,4	833,0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამამუშავება და განადგურება	598,5	803,4	833,0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა			



7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	-	-	-
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	7 805,5	6 161,8	3 801,2
7.6 1	ბინათმშენებლობა	2 583,5	2 687,3	1 650,8
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	586,8	692,2	661,0
7.6 3	წყალმომარაგება	1 331,8	838,8	205,4
7.6 4	გარე განათება	282,9	292,0	300,0
7.6 5	გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში			
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	3 020,5	1 651,5	984,0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	207,1	276,2	307,0
7.7 1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება			
7.7 3	საავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	207,1	276,2	307,0
7.7 5	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 557,3	4 071,9	3 760,1
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 280,1	2 095,4	2 073,2
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 272,2	1 926,5	1 536,9
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა			
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	5,0	50,0	150,0
7.9	განათლება	3 012,3	3 789,5	3 395,7
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2 296,7	2 852,1	3 119,0
7.9 2	ზოგადი განათლება	715,6	937,4	276,7
7.9 2 1	დაწყებითი ზოგადი განათლება			
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	715,6	937,4	276,7
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება			
7.9 3	პროფესიული განათლება			
7.9 4	უმაღლესი განათლება			
7 10	სოციალური დაცვა	1 597,9	1 662,6	1 544,5



7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	97,4	92,6	120,4
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	182,8	336,7	191,0
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	187,2	197,2	200,0
7 10 5	უმუშევართა სოციალური დაცვა			
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა			
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0,9	0,9	2,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 129,6	1 035,2	1 031,1
	სულ	29 645,4	27 543,6	20 382,7

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 2889,5 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 5740,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	7 300,4	4 032,9	- 5 740,5
მთლიანი სალდო	- 1 570,5	3 024,5	- 2 889,5

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2918,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1 564,4	1 075,7	- 2 918,6
ზრდა	-	53,8	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	53,8	-
კლება	1 564,4	- 1 021,9	2 918,6
ვალუტა და დეპოზიტი	1 564,4	- 1 021,9	2 918,6

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება



ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 29.1 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესიო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 29,1 ათას ლარს, ხოლო 2026 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა სრულად იქნება დაფარული.

თავი II. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები,

ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

1.პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, მიმდინარე შეკეთება წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და ექსპლუატაცია. მრავალსართულიანი შენობების სახურავების, ლიფტების, ეზოების და ფასადების მოწყობა. საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. კომუნალური მეურნეობის და მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01). საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა-შეკეთება, ორმოული შეკეთება. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

პროგრამის მიზანია: მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადაადგილების გამარტივება, გამტარიანობის ზრდა.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-3 მიზნის 3.6, მე-9 მიზნის 9.1 და მე-11 მიზნის 11.2 ამოცანების შესრულებას.

ა.ა) ქვეპროგრამა: გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01).

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზების მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

ქვეპროგრამის მიზანია: საავტომობილო გზებზე მგზავრთა გადაადგილების გამარტივება.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

ა.ბ) ქვეპროგრამა: გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02).



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ყოველწლიურად მიმდინარეობს არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორების და მოხრეშვა-მომანდაკების სამუშაოები; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით გარკვეული სამუშაოების ჩატარება. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად

პროგრამის მიზანი: შესრულებულმა სამუშაოებმა უსაფრთხო გახადოს ამ გზებზე გადაადგილება.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

ა.გ) ქვეპროგრამა: სატრანსპორტო საშუალებების შეძენა (პროგრამული კოდი 02 01 03).

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ტექნიკის შეძენა, რაც საშუალებას მოგვცემს ახალით ჩავანაცვლოთ მოძველებული ტექნიკა, რომელსაც ამოწურული აქვს ექსპლოატაციის ვადა, რაც უფრო მოქნილსა და ეფექტიანს გახდის მუნიციპალიტეტის მუშაობას.

ტყიბულის მუნიციპალიტეტს აქვს მაღალმთიანი ადმინისტრაციული ერთეულები სადაც მოსალოდნელია დიდთოვლობა, რისთვისაც სპეციალური ტექნიკა მზადყოფნაში უნდა იყოს, რასაც მოძველებული ტექნიკური საშუალებები ვერ უზრუნველყოფს.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-11 მიზნის 11.2 ამოცანის შესრულებას.

ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტს ყავდეს გამართული, შეუფერხებლად მომუშავე სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური ტექნიკა.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილებისთვის შექმნილი ხელსაყრელი გარემო და სუფთა ქალაქი.

ბ) პროგრამა: წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02).

პროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.

პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე სისტემების გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურეობის გაუმჯობესება.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული 01 მიზნის 1.4, მე-6 მიზნის 6.1 და 6.3, მე-9 მიზნის 9.1 და მე-11 მიზნის 11.1 და 11.7 ამოცანების შესრულებას.

ბ.ა) ქვეპროგრამა: სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე განხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მიღწეული იქნას სასმელი წყლის მიწოდება;



მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე.

გ) პროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03).

დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;

გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა.

პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მულტივიმოქმედ პროგრამას.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებით უსაფრთხო გარემოს შექმნა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვებისათვის.

გ.ა) ქვეპროგრამა: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01).

მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

პროგრამის მიზანი: დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება.

მოსალოდნელი შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

დ) პროგრამა: მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04).

პროგრამის ფარგლებში მოხდება ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა.

პროგრამის მიზანია: საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-11 მიზნის 11.1 და 11.7 ამოცანის შესრულებას.

დ.ა) ქვეპროგრამა: მრავალბინიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04



01).

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მომართვის საფუძველზე, ხორციელდება კორპუსების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ადგილზე ხდება პრობლემის შესწავლა; ჩასატარებელი სამუშაოების დაწყება ხდება რეგისტრირებული განცხადებების თანმიმდევრობისა და პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო კანონმდებლობის ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შემდეგ.

2. პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გადახურვა.

პროგრამის მიზანი: რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, სახურავების დაზიანების გამო მოსახლეობისთვის მინიმუმამდე დაყვანილი ზარალი.

აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილია შენობების ექსპლუატაციის ვადა.

მოსალოდნელი შედეგი: გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

ე.ა) ქვეპროგრამა: ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 05 01).

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელების მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა- მოსახლეობის განწყობის ამაღლება. მოეწყობა საყრდენი კედლები. სკვერი მოეწყობა სოფ. მუხურაში, ქ. ტყიბულში მერკვილამის, წერეთლისა და თაბუკაშვილის ქუჩებზე. მოეწყობა გელათის ქუჩის განახლებული ინტერაქციული სივრცე (სკვერი).

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; კომფორტული და ჯანსაღი გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

ვ) ქვეპროგრამა: მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 06).

მნიშვნელოვანია შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული დაბალი ტარიფის შენარჩუნება, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

პროგრამის მიზანია: ტრანსპორტი გადაადგილდება და მგზავრებს ემსახურება შეუფერხებლად

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილება.

ზ) ქვეპროგრამა: საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 07).

პროგრამის ფარგლებში პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს.

პროგრამის მიზანია: სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი: დროულად და კვალიფიციურად შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს).



თ) ქვეპროგრამა: კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 08).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოვლა-შენახვა, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, გზებისა და ხიდების, განათების, ტროტუარების, მოაჯირების, შადრევნების სკვერების და ბაღების, სადრენაჟე და სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია. სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-3 მიზნის 3.6, მე-9 მიზნის 9.1 და მე-11 მიზნის 11.7 ამოცანების შესრულებას.

პროგრამის მიზანია: განხორციელების შედეგად შექმნილი იქნება სუფთა, კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის.

სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი.

მოსალოდნელი შედეგი: შეკეთებული და მოვლილი სკვერები, ატრაქციონები, სანიაღვრე არხები და საზოგადოებრივი სივრცეები.

ი) ქვეპროგრამა: საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 09).

პროგრამა ხელს შეუწყობს სრულყოფილ პროექტების დამზადების პროცესი და მინიმუმადე იყოს დაყვანილი დაპროექტების სტადიაზე შესაძლო შეცდომები, რაც პროექტს მაქსიმალურად დაახლოებს არსებულ რეალობასთან, შემრულებელს გაუმარტივებს საქმეს და მინიმალური დანახარჯებით მოხდება პროექტების განხორციელება. ასევე შეამცირებს მზა პროექტებში ცვლილებების რაოდენობას. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას, აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას.

პროგრამის მიზანია: საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.

მოსალოდნელი შედეგი: შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

კ) პროგრამა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 10).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოხდება წინა წლების დავალიანების დაფარვა მოეწყობა შიდა სასოფლო გზები, ხიდები, გარე განათება, შემოღობვა, სკვერების მოწყობა, მინი სპორტული ინფრასტრუქტურა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გასული წლის პროექტების დასრულება.

პროგრამის მიზანია: მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;

იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა.

პროექტების საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.

მოსალოდნელი შედეგი: პროექტების საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.

2. პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)



პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-11 მიზნის 11.6 და 11.7 ამოცანის შესრულებას.

ა) ქვეპროგრამა: დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

ტყიბულის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები.

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: სამტრედია, საწირე, ხრესილი, ლელვა, ჭყეპი, ბუეთი, ორპირი, კურსები, მადარო, გელათი, მოწამეთა. შეგროვებული ნარჩენები გადის მანჭიორის ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 30 მ/კუბ ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 3 ნაგავმზიდი.

პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება აგრეთვე ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ტერიტორიიდან გაყვანა.

ასევე ფინანსდება ქალაქ ტყიბულის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.
პროგრამის მიზანია: მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდეს ქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდეს მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნეს მაწანწალა ძაღლები.

ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგას ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდეს მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება.

მოსალოდნელი შედეგი: ქალაქში სანიტარული წესრიგი შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

3. პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლება და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის



დოკუმენტით განსაზღვრული მე-4 მიზნის 4.2 და 4.5 ამოცანების და მე-9 მიზნის 9.1 ამოცანის შესრულებას.

ა) პროგრამა: საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 419-ზე მეტი ბავშვი. ბავშვბაღებში ჯამში დასაქმებულია 258 აღმზრდელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავშვბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბავშვბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავშვბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბავშვბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

პროგრამის მიზანი: ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი პირობები, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნეს სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნას სამუშაო პირობებით.

მოსალოდნელი შედეგი: სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

ბ) პროგრამა: საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03).

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით. საბოლოო ეტაპზე კი ითვალისწინებს ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

4. პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)



პრიორიტეტი მოიცავს უამრავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, ტურისტულ მარშრუტებს. მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივი ახალგაზრდების მიგრაციის თემა, შიდა თუ საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გაზრდა. ამისთვის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას, ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, ინოვაციების ხელშეწყობას და განათლების პარალელურად მოზარდი და ახალგაზრდა თაობებისთვის კულტურისა და სპორტის განვითარებას. მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, ხელოვნების და კულტურის დარგის გამოჩენილი ახალგაზრდების წახალისებას. ყველა მოზარდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს ნიჭი და უნარი. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

ა) პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01).

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

